

საიდ. №72487/03

IR 1159581

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №128-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტისა და 2014 წლის 06 ოქტომბრის №ა-260 წერილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანია „ოტკრიტოე აქციონერნოე ობშჩესტვო ნიჟეგოროდსკი ხიმიკო - ფარმაცევტიჩესკი ზავოდ“-ის (Otkrytoe aktsionernoe obshchestvo Nizhegorodsky khimiko - farmatsevtishesky zavod) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №128-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №659/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ФЕМИЛЕКС“ (საიდ. №72487/03 IR 1159581) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და

მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 და 35-ე კლასი).

„საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის №659/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „ФЕМИЛЕКС“ ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის “ელიტ ჰიგიენ, ქლოუსდ ჯოინტ სტოკ კომპანი“ (ELITE HYGIENE, Closed Joint-Stock Company) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „FEMINEX“, (რეგ. N817638, თარიღი: 24/12/2003). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები მხოლოდ ერთი ასოთი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ნიშანი ითვლება სხვა ნიშნის არღვევამდე მსგავსად, თუ იგი ასოცირდება მასთან მთლიანობაში, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად. ნიშანთა მსგავსების შეფასება ხდება ზოგადი შთაბეჭდილების საფუძველზე. ამავე დროს, ზოგადი შთაბეჭდილების ფორმირება შეიძლება ხდებოდეს ნიშნის ნებისმიერი თავისებურების ზემოქმედებით, მათ შორის დომინანტური სიტყვიერი ან გრაფიკული ელემენტების, მათი კომპოზიციური და ფერად-

გრაფიკული გადაწყვეტის და სხვ. კრიტერიუმების საფუძველზე. ნიშნის სახეობიდან (სიტყვიერი, გამოსახულებითი, ხმოვანი და სხვ.) და/ან მისი გამოყენების ხერხიდან გამომდინარე, ზოგადი შთაბეჭდილება შეიძლება იყოს მხედველობითი ან ხმოვანი (ბგერითი). განსახილველი ნიშნების უშუალო შედარებისას ნათელია, რომ ისინი ახდენენ აბსოლუტურად განსხვავებულ მხედველობით შთაბეჭდილებას: ნიშნები განსხვავდება როგორც ვიზუალურად ასევე ფონეტიკურად. უპირველეს ყოვლისა ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული შრიფტებით. ოროვე ნიშანი სიტყვიერია, განცხადებული ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე დიდი ასოებით და შედგება 8 ასოსგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია ორ ენაზე: დიდი ლათინური ასოებით და შედგება 7 ასოსგან. განსახილველი ნიშნების ფონეტიკური მსგავსების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი განსხვავებულად წარმოითქმება - „ფემი - ნექს“, „ფემი - ლექს“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული ნიშანი ვერ ჩაითვლება აღრევამდე მსგავსად, მათ შორის, ფონეტიკური თვალსაზრისითაც. სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ სასაქონლო ნიშნების აღქმისას, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ნიშნის აღქმისას, მომხმარებელი არ ანაწევრებს მათ შემადგენელ ნაწილებად, არამედ აღიქვამს მათ მთლიანობაში. ამდენად, განცხადებული ნიშნის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის აღქმისას მომხმარებელი განიხილავს მათ შემადგენელ სიტყვიერ ელემენტებთან ერთობლიობაში. განმცხადებული ნიშანი – ერთსიტყვიანია, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი - ორსიტყვიანი, მათ შორის სომხურ ენაზე დაწერილი, რაც ქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას, რის გამოც განსახილველი ნიშნები ახდენენ განსხვავებულ შთაბეჭდილებას, რომელიც ფორმირდება ნიშნების სხვადასხვა კომპოზიციური გადაწყვეტის საფუძველზე.

სააპელაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, კომპანია ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო “ნიჟეგორიდსკი ხიმიკო-ფარმაცევტიჩესკი ზავოდ” შედის გერმანულ ჰოლდინგში ”შტადა”, კერძოდ, „STADA“ ფლობს

„ნიუგორიდსკი ხიმიკო-ფარმაცევტიჩესკი ზავოდ“-ის აქციების 100%-ს. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციას ახასიათებს მაღალი ხარისხი და მისი პროდუქცია კარგად არის ცნობილი მათ შორის საქართველოში მცხოვრები მომხმარებლისათვის. აპელანტის მიერ ასევე, წარმოდგენილ იქნა წერილი, რომლის თანახმად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმებულია. ამასთან, საქმისწარმოების პროცესში, მოთხოვნის დაზუსტების მიზნით აპელანტმა 2014 წლის 22 ოქტომბერს №-281 წერილით მომართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭება ნაცვლად მის მიერ სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი საქონლის შეზღუდული ჩამონათვლისა, საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №659/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ФЕМИЛЕКС“ (საიდ. №72487/03 IR 1159581) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქპატენტში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ბიუროდან შემოსული განცხადების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმებულია 2013 წლის 24 დეკემბრიდან, რეგისტრაციის შემდგომი ათი წლით აღარ გაგრძელების გამო. შესაბამისად, გაუქმდა დაპირისპირების საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ არსებობს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესაბამისად, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ოტკრიტოე აქციონერნოე ობშჩესტვო ნიჟეგოროდსკი ხიმიკო - ფარმაცევტიჩესკიი ზავოდ“-ის (Otkrytoe aktsionernoe obshchestvo Nizhegorodsky khimiko - farmatsevtishesky zavod) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ N659 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ФЕМИЛЕКС“ (საიდ. №72487/03 IR 1159581) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ლ. კერესელიძე